ა(ა)ი.პ „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“-ს 2022 წლის მუშაობის ანგარიში

10-14 იანვარს გაიმართა მუზეუმის ბიუჯეტზე მსჯელობა, განისაზღვრა ძირითადი მონახაზი დასამტკიცებლად.

11-12 იანვარს მუზეუმში გაიმართა გასული წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს განხილვა.

11-12 იანვარს გაიმართა მიმდინარე წლის ღონისძიებების განხილვა-დამტკიცება.

COVID - 19 ვირუსის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო მუზეუმში მკაცრად იქნა დაცული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დადგენილი რეგულაციები. საგანგებო რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით დაწესდა მორიგეობით მუშაობის გრაფიკი.

17 იანვარს მუზეუმში იყოფებოდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტისა და ფოლკლორის ეროვნული ცენტრის პედაგოგი თამარ გეგეშიძე იგი ადგილზე გაეცნო რაჭის ფოლკლორთან დაკავშირებულ ექსპონატებს: ჭიანური, გუდასტვირი, დაირა, გარმონი, ფანდური, ჩონგური. ჩოხა-ახალუხი, მთის რაჭული ქალის კოსტიუმი. პედაგოგის მიზანს წარმოადგენს სტუდენტებს გააცნოს ვიზუალურად რაჭული საკრავიერი მუსიკალური ინსტრუმენტები, ესაუბროს მათ შესახებ. ასევე აჩვენოს მთის რაჭველი ქალბატონის უნიკლური კაბა, წინსაფარი, ჩიქილა (მოსასხამი).

28 იანვარს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პროფესორმა ისტორიკოსმა ლევან მიზანდარმა გამოხატა ინტერესი ჩვენს მუზეუმში დაცულ მხატვარ კონსტანტინე გრძელიშვილის ნამუშევრების შესახებ. ონის მუზეუმთან მისი კავშირი შედგა ჩვენი კოლეგის ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლის მარიამ ჩხაიძის მეშვეობით. ჩვენის მხრივ მოვახდინეთ ფონდსაცავში დაცული ორი ფერწერული ნამუშევრის მოძიება, მოხდა დადარება საინვენტარო წიგნებთან, მოპოვებულ იქნა ინფორმაცია მუზეუმში შემოსული ნამუშევრის შესახებ, გადაღებულ იქნა მაღალი გარჩევადობის ფოტოსურათები. ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით მივაწოდეთ ბატონ ლევან მიზანდარს. დაისახა თანამშრომლობის შემდგომი გეგმები.

5 თებერვალს მიეწოდა მასალები ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ქალბატონს შუქურა ჯაფარიძეს სოფ. ჯოისუბნის წმ. გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებით. ონის მუნიციპალიტეტის ინიციატივით საქართველოს კულტურული მემკვიდეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით იგეგმება სოფ. ჯოისუბნის „მცხეთის“ წმ. გიორგის ეკლესიის აღდგენითი სამუშაოების დაწყება.

თებერვლის თვის განმავლობაში ნორვეგიელმა მკვლევარმა რიჩარდ ბერუგმა ელექტრონული ფოსტის საშუალებით არაერთჯერ მოგვმართა თხოვნით, მის მიზანს წარმოადგენს სვანეთისა და რაჭის ტურისტული გზამკვლევის შექმნა დავხმარებოდით და მიგვეწოდებინა მისთვის მასალები გამოჩენილ და ცნობილ ადამიანებზე რომლებიც წარმოშობით იყვნენ რაჭიდან

სპორტში ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები, კულტურის ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები მწერლები, პოეტები, მომღერლები, მსახიობები, რეჟისორები. რაჭის ეკონომიკური პოტენციალი, ტურისტული ლოკაციები და ა.შ. ჩვენის მხრიდან გავეცით პასუხები მის მიერ დასმულ შეკითხვებზე მივაწოდეთ მას როგორც ტექსტური ასევე ფოტო მასალები.

თებერვლისა და მარტის თვის განმავლობაში ახალ მუზეუმში მუზეოგრაფიის (შიდა სივრცითი მოწყობა) პროექტის შესაქმნელად ეროვნული მუზეუმის მეცნიერთა ჯგუფის დავალებით დავიწყეთ ჩვენს მუზეუმში დაცული რაჭის სხვადასხვა ეკლესიებიდან ჩამოტანილი შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშების საექსპოზიციოდ შერჩევა. შეირჩა რამოდენიმე ათეული რელიეფები და ლაპიდარულ წარწერიანი ქვები, ბუბის ჯვარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ექსპონატები, კოლხური ოდა სახლების ჭვირული ფარდები, გეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალები, მჭედლობასთან და ხის ხუროობასთან დაკავშირებული არტეფაქტები მოხდა მათი გასუფთავება-გაწმენდა, ფოტოგადაღება. სპეციალურად შექმნილ ცხრილში აისახება თითეული ექსპონატის მოკლე აღწერა და ტექნიკური მონაცემები (ექსპონატის დასახელება, აღწერა, ზომა, საიდან შემოვიდა როდის და ა.შ.).

15 თებერვალს ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერთანამშრომელს მიეწოდა მასალები I-III საუკუნეების კოლხურ-იბერიული ჭვირულგამოსახულებიანი რიტუალურ ქამრის ბალთებზე. აღნიშნული არქეოლოგიური არტეფაქტების დიდი ნაწილი აღმოჩენილია რაჭის ტერიტორიაზე. არაერთი საუცხოო ნიმუში (ორ ათეულამდე) დაცულია ჩვენს მუზეუმში. ხელოვნების ნიმუშების შესახებ მეცნიერთანამშრომელთა მიერ დიდი ინტერესია გამოთქმული.

15 თებერვალს ეროვნული მუზეუმის მეცნიერთანამშრომელს გელა გობეჯიშვილს მიეწოდა მასალები რაჭის ფოლკლორის შესახებ.

16 თებერვალს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა დარეჯან თეთრაშვილმა მოგვაწოდა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის სოფელ შარდომეთში დაბადებული კონსტანტინე ჯაფარიძის ჩვენთვის უცნობი ფოტო. დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წწ) მთავარი მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე კოლექტიურ ფოტოზე გადასახლებაშია ქალაქ ენისეისკში. კონსტანინე ჯაფარიძის ოჯახის ახლობელთან ქალბატონ დარეჯანთან ერთად დაისახა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

18 თებერვალს არქეოლოგ ქეთი დიღმელაშვილს გაეწია კონსულტაციები და მიეწოდა მასალები სოფელ ჟოშხის ჯვარცმის სახელობის ეკლესიისა და ამავე სოფელში არსებულ ციხესთან დაკავშირებით.

20 თებერვალს მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა მიაწოდა მასალები ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომელს კლარა გელაშვილს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის მთავარი მდივნის სოფელ შარდომეთში დაბადებული კონსტანტინე ჯაფარიძეზე, დაისახა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

22-25 თებერვალს მუზეუმში მოეწყო საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის (SOVLAB) მეცნიერ თანამშრომლების დავით და ირაკლი ხვადაგიანების მიერ გადმოცემული წიგნების შიდა სამუზეუმო განხილვა-პრეზენტაცია:

1. ქალაქი, საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლკაში 1917-1921, თბილისი 2021 წელი.
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლკის სახელმწიფო კონტროლი, 2020 წ.

10 მარტს მუზეუმის თანამშრომლების მიერ მოეწყო ექსპედიცია სოფელ გომში დავაფიქსირეთ კოლხური ოდა სახლების საუხცოო არქიტექტურული ნიმუშები, გომელი ხის ხუროები გამორჩეული ხის მოხელეები იყვნენ, აშკარაა რომ მათ გამორჩეული და ინდივიდუალური ხელწერა ჰქონდათ. მოხდა მაღალი გარჩევადობის ფოტოსურათების გადაღება. სამომავლოდ იგეგმება სხვა სიძველეების შესწავლის მიზნით ექსპედიცია ამავე სოფელში.

15 მარტს მუზეუმში იმყოფებოდნენ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მარიამ დავლიანიძე და თამარ ორდინიძე გაეწიათ კონსულტაცია და დახმარება. მათ მიზანს წაემოადგენს ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციების მოპოვება, რომ ვიზიტორებს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ. ჩვენის მხრიდან მივაწოდეთ მათ მასალები ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან დაკავშირებით. დაისახა თანამშრომლობის გეგმები

15-17 მარტს მუზეუმში მოეწყო წიგნების შიდა სამუზეუმო განხილვა-პრეზენტაცია:
1)საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ერთობლივი პროექტით გამოცემული ალბომის „მხატვარი ოთარ ჯაფარიძე 100, 1920-2020“ საიუბილეო გამოცემა 2020 წ.
2) ნანა კიკნაძე, XX საუკუნის ქართული პროფესიული დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნება 2020 .

5 აპრილს გაეწიათ დახმარება და მიეწოდათ მასალები ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით.

6 აპრილს შედგა თანამშრომლობა ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელ ქალბატონ დარეჯან თეთრაშვილთან ჩვენი თხივნით მან მოძია და ციფრულ ფორმატში მოგვაწოდა სოფ. ქვედის მეზოლითურ ნამოსახლართან დაკავშირებული ლიტერატურა - ალექსანდრე კალანდაძე, ლუიზა წერეთელი, საქართველოს შუამთიანეთის ზოგიერთი მეზოლითური ძეგლი, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1976 წ.

7 აპრილს შედგა თანამშრომლობა ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორ ცნობილ მეცნიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ბატონ მერაბ კეზევაძესთან. ჩვენი თხოვნით მისდამი რწმუნებულ არქივში ეპარქიის ფონდში მოიძია წერილობითი დოკუმენტები ცნობილ საეკლესო მოღვაწე ბლაღოჩინისა და პედაგოგის დეკანოზ ალექსი გიორგობიანთან დაავშირებით. ციფრულ ფორმატში მოგვაწოდა ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანი საარქივო მასალები.

10 აპრილს შეგდა თანამშრომლობა ახალი მუზეუმის მშენებელ კომპანიასთან რომლის წარმომადგენლებთან ერთად მუზეუმის თანამშრომლების აქტიური ჩართულობით მოხდა ძველი მუზეუმის ეზოდან ახალი მუზეუმის წინა ეზოში წითელ წიგნში შეტანილი

რელიქტული მარადმწვანე (უთხელი, ბზა, სოჭი, ღვია) და ფოთლოვანი მცენარეებისა (ძელქვა, მუხა) და ყვავილების (ნარცისი) გადარგვა.

12 აპრილს კომპანია აფხაზინტერკონტის“ თანამშრომელს ივეტა თვალჭრელიძეს მიეწოდა მასალები რაჭაში მცხოვრებ ებრაულ თემთან და სინაგოგასთან დაკავშირებით.

14 აპრილს ნინო მეტრეველს მიეწოდა სოფელ უწერის X-XI საუკუნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის გაციფრულებული ძველი ფოტოები.

20 აპრილს ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსს ქეთი ბერაძეს მიეწოდა ჩვენს მუზეუმში დაცული სოფ. ქვიშარში აღმოჩენილი განძის 12 ერთეული ცულის შესახებ ფოტოები და ტექნიკური აღწერილობა.

27 აპრილი მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდნენ კომპანია „აფხაზინვესტის“ წარმომადგენლები მათ თან ახლდნენ USAID-ის ქართველი დონორი ორგანიზაციის პირები. დაათვალიერეს მუზეუმი დაეცვნენ კოლექციებს, დაისახა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

29 აპრილი გიორგი სადუნიშვილს მიეწოდა ფოტო და ტექსტური მასალები კურორტ უწერასთან ასევე კურორტოლოგ თამარ ჯაჭვლიანთან დაკავშირებით.

3 მაისს ჟურნალისტსა და ქართული ლუდის მკვლევარს ლევან შერმადინს მიეწოდა მასალები ჩვენს მუზეუმში დაცულ სპილენძის ლუდსახარშ ქვაბთან დაკავშირებით.

5 მაისს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელს, ხელოვნებათმცოდნე ნანა შერვაშიძეს მიეწოდა მონაცემები ჩვენს მუზეუმში დაცული ცნობილი ხელოვნებათმცოდნის, მხატვრის ბენო გორდეზიანის კუბისტური სახვითი ხელოვნების ნიმუშის „ცხრაწყარო“-ს შესახებ.

6 მაისს ევროპულ კვირეულთან დაკავშირებით ონის მუზეუმში წამყვანმა მეცნიერთანამშრომელმა გია ბერიშვილმა წაიკითხა მოხსენება - კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა რაჭაში.

6 მაისს ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელს ნინო მეტრეველს გაეწია კონსულტაციები და მიეწოდა მასალები სოფელ კვაშხიეთში კუნეთის წყაროს მიდამოებში არსებულ მეგალითურ კედელზე, რომელიც ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით უნდა იყოს პრეისტორიულ ხანაში აგებული.

8 მაისს ხელოვნებათმცოდნე ვატო წერეთელს მიეწოდა მასალები რაჭის გვარსახელებისა და რაჭაში მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ.

8-14 მაისს მუზეუმში მივლინებით იმყოფებოდნენ ეროვნული მუზეუმის თანამშრომლები რომლებიც გვეხმარებიან ახალ მუზეუმში საექსპოზიციო სივრცეების მოწყობისათვის.

9 მაისი მუზეუმის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 9 მაისის ღონისძიებებში.

12 მაისს ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელს ნინო მეტრეველს გაეწია კონსულტაციები და მიეწოდა მასალები ონის განაპირას შემაღლებულ ადგილზე მდებარე დღესდღეობით ნანგრევებად ქცეულ ციხეებთან დაკავშირებით.

17 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო ექსპედიცია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ახალსოფელსა და იწაში. ახალსოფელში მეგზურობა გაგვიწია სოფლის მკვიდრმა ბატონმა ზურაბ წულუკიძემ, მოვინახულეთ ტყით შემოსილი ბორცვი ადგილი „საელიო“ სადაც ადრეულ წლებში ხის ფუღუროში უპოვნიათ გვიანი ანტიკური ხანის ბრინჯაოს ჭვირულგამოსახულებიანი რიტუალური ქამრის ბალთა. მახლობლად დავაფიქსირეთ 1834 წლის ბრინჯაოს ზარი, რომელიც შეუწირავს გლახუა ფანჯიკიძეს ახალსოფლის მაცხოვრის ეკლესიისათვის. გადავედით მაცხოვრის სახელობის ტაძრის ნანგრევებზე სადაც სოფლის სასაფლაოა, გადავიღეთ 19 საუკუნის საფლავის ქვები. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო თვალსჩინო ადგილზე არსებულმა დიდი ზომის კაპიტელის რელიეფურმა და ასომთავრულ წარწერიანმა არქიტექტურულმა ფრაგმენტმა, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში შეუსწავლია ეპიგრაფ ვალერი სილოგავას.
მოვინახულეთ იწის მთავარანგელოზის ახალი აშენებული დარბაზული ეკლესია და მის მიდამოებში არსებული სიძველეები.

22 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუზეუმის თანამშრომლები ვიმყოფებიდით საჩხერის მუნიციპალიტეტში, მოვინახულეთ სოფ. სხვიტორში აკაკი წერეთლის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი, კარ-მიდამო, აკაკისთან დაკავშირებული არტეფაქტები, დავაფიქსირეთ აკაკის 1912 წელს რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს სოფ.ტოლაში საჩუქრად გადაცემული ხის ლანგარი. დავათვალიერეთ ჯურხა ნადირაძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და იქვე ეზოში არსებული სხადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობები. ავედით 10-11 საუკუნეებისჯრუჭის მონასტერში სადაც დღესდღეობის აღდგენითი სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ჩვენი თვალით ვიხილეთ იდუმალებით მოცული თავად წერეთელთა ძვალშესალაგი, სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს და მის ოჯახს და სხვა წერეთლებს იმერეთის ბოლო მეეფეებისაგან როსტომ რაჭის ერისთავის დამარცხების 1769 წლის შემდგომ ებოძათ რაჭაში ყმა-მამული.. ბოლოს სოფ. ჭალოვანის წმ ბარბარეს სახელობის ეკლესიის ნანგრევები დავათვალიერეთ. ჩვენზე წარუშლელი კვალი დატოვა როგორც ტაძრის არქიტექტურამ ასევე იქვე ნანგრევებში საკურთხევლის წინ დაცულმა 10 საუკუნის კანკელის ფრაგმენტებმა (სვეტები, კაპიტელი). კანკელის ფრაგმენტები დიდ სიახლოვეს და მსგავსებას პოულობს სალხინოსა და სხიერის კანკელებთან. მოხდა აღნიშნული კანკელის რელიეფების დაფიქსირება, აღწერა.

22 მაისს მუზეუმის თანამშრომლების მიერ სოფ. შქმერიდან ჩამოტანილ იქნა დეკა, სურო, სხვადასხვა ყვავილები და დარგულ იქნა ახალი მუზეუმის ეზოში.

24 მაისს გაეწია დახმარება და მიეწოდა საარქივო მასალები მოქალაქე გურამ ბასილაშვილს სოფ. ონჭევში მცხოვრებ გავარსახელ ბასილაშვითან დაკავშირებით.

30 მაისს მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე რაიან ჰარკერ ჰარისი, საპატიო სტუმარს გავათვალიერებინეთ მუზეუმის საგამოფენო სივრცეები, ფონდსაცავი. დიპლომატმა დიდი ინტერესი გამოხატა მუზეუმის კოლექციების მიმართ.

1 ივნისს ონის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სამსახურის თანამშრომელს ნინო მეტრეველს გაეწია დახმარება და მიეწოდა მასალები ონის ცენტრში არსებული საჯანის კარის წმ. გიორგის ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით.

6 ივნისს მუზეუმის 700 კვადრატული მეტრის ეზო გაითიბა და გაიწმინდა ბალახის საფარველისაგან.

8 ივნისს სოფლის განვითარების სააგენტოს ონის საკონსულტაციო ცენტრის წამყვან სპეციალისტთან გია ბუხრაშვილთან თანამშრომლობის შედეგად დაზუსტდა სოფელ სხვავაში საკვირაო გორაზე დაფიქსირებული ადრე შუა საუკუნეების ქვასვეტის შესახებ ინფორმაცია. იგეგმება აღნიშნული ხელოვნების ნიმუშის მუნახულება და ფიქსაცია.

10 ივნისს თემურ ცეცაძეს გაეწია კონსულტაციები და მიეწოდაა მასალები სოფელ შეუბნის სინაწმინდის წმ. გიორგის ეკლესის შესახებ.

14 ივნისს კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელთან რევაზ პაპუაშვილთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად მოხდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად მოპოვებულ მასალებზე ავტორთა კოლეგიის მიერ გამოცემული წიგნის - რავაზ პაპუაშვილი, ლაშა ჯიქია, ნინო ქობალია, იოსებ პაპუაშვილი, ერგეტა (სამაროვნები) თბილისი-ზუგდიდი, 2022 წ. გადმოცემა ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბიბლიოთეკისათვის.

15 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს ბექა იმედაშვილს მიეწოდა მასალები მისი წინაპრის რაჭაში, სოფ. სომიწოში მცხოვრები 19 საუკუნეში მოღვაწე ხატმწერის, ლითომქანდაკებელის ივანე ჩიკვილაძის შესახებ.

17 ივნისს მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები რომელთა ინტერესს წარმოადგენდა რაჭის ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა. დავათვალიერებინეთ მუზეუმი გავაცანით მუზეუმის მრავალფეროვანი კოლექციები. დაისახა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

18 ივნისს ხელოვნებათმცოდნე ანა ბოძიაკინას მიეწოდა მასალები მხატვარ ოთარ სოსელიას სახვითი ხელოვნების ნიმუშებთან დაკავშირებით.

21 ივნისს ჩვენს მუზეუმში დაცული მხატვარ ბენო გორდეზიანის კუბისტური სახვითი ხელოვნების ნიმუშის „ცხრაწყაროს“ ინსპირაციით უჩა ჯაფარიძის სახელობის ონის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყვეს „ექსპერიმენტული პლენერი“. 21 ივნისს ონის მუზეუმში შედგა პრეზენტაცია. პროექტი განახორციელა ხელოვნებათმცოდნე თეონა ჯაფარიძემ, მხატვრებთან კოტე სულაბერიძესთან და ნინო ჭილაშვილთან ერთად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

21 ივნისს მოეწყო ექსპედიცია სოფელ სხვავაში ადგილობრივ ცხოვრებთა გია ბუხრაშვილისა და სულხან გონაძის დახმარებით მოვილახულეთ გვიანი შუა საუკუნეების ორი ხიდი მდინარე კრიხულაზე და მდინარე ჭალაზე, დავათვალიერეთ ძელიცხოველის ეკლესიის ნანგრევები და მის მიდამოებში არსებული ძველი საფლავის ქვები. ადგილ „საკვირაოზე“ შევისწავლეთ ადრეული შუა საუკუნეების რელიეფური ქვასვეტი. მოვიხილეთ ის ადილიც წმ. ბარბარეს

სახელობის ნაეკლესიარი საიდანაც იქნა გადმოტანილი საკვირაოზე ხელოვნების აღნიშნული ნიმუში. დავათვალიერეთ სამების ეკლესიის ნანგრევები და სიძველეები. სულხან გონაძის მეგზურობით დავლაშქრეთ შემაღლებულ სტრატეგიულ ადგილზე მდებარე ციხის ნანგრევები და მის გარშემო არსებული ნასახლარები. ჩვენს მიერ დაფიქსირდა გვიანი ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ორი არქეოლოგიური ობიექტი.

25 ივნისს მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდა მწერალი ლევან ბერაძე ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად მწერალმა შექმნა ნაწარმოები ონში მცხოვრებ ებრაულ თემთან და სინაგოგასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს თხზულების ბეჭდვის პროცესი. მწერლის სურვილია ნაშრომის წარდგენა მოხდეს ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

28-30 ივნისს გაეწია კონსულტაციები და მიეწოდა ფოტო მასალები რეჟისორ თემურ ცაავას ცნობილი მოჭიდავის, ფალავანის, ძალოსანისა და შოუმენის კოსტა მაისურაძესთან დაკავშირებით, რეჟისორის სურვილია აღნიშნული მასალები გამოიყენოს ქართულ ჭიდაობაზე გადაღებულ ფილმში.

29 ივნისს მიეწოდა ინფორმაცია და ფოტო მასალები ხელოვნებათმცოდნე, ხატმწერ თეა ინწკირველს რაჭის სხვადასხვა ეკლესიებში არსებულ ახალ ფრესკულ მხატვრობასთან დაკავშირებით.

6 ივლისს გიორგი სადუნიშვილმა მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა ბებიის, ექიმისა და კურორტოლოგის თამარ ჯაჭვლიანის ორ ენაზე გამოცემული წიგნი - კურორტი უწერა, 2022 წ.

7 ივლისს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რევაზ ჯაფარიძის შვილიშვილმა გოგა ჯაფარიძემ მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა მისი ბაბუის 1983 წელს ონის საპატიო მოქალაქედ არჩევის ოფიციალური საბუთი. გოგა ჯაფარიძესთან მოლაპარაკების შედეგად იგეგმება რევაზ ჯაფარიძის სოფელ წმენდაურის საცხოვრებელი სახლიდან მწერლის მემორიალური ნივთების და ავტოგრაფიანი წიგნების გადმოცემა მუზეუმისათვის.

9 ივლისს მუზეუმს სტუმრობდნენ ეროვნული მუზეუმის ქვის ხანის არქეოლოგების ჯგუფი თენგიზ მიშველიანის ხელმძღვანელობით. მათ მიზანს წარმოადგენდა მოენახულებიათ ტყიბულში მცხოვრები დავით ჯიშიაშვილი, რომელსაც შაორის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიებზე აღმოუჩენია და შეუკრებია ქვის ხანი სხვადასხვა პერიოდის პირველყოფილი ადამიანის მრავალრიცხოვანი იარაღები. არქეოლოგებმა მოგვითხვრეს აღმოჩენის ვითარებისა და გარემოების შესახებ. გვაჩვენეს ფოტოები. დაისახა ჩვენს მიერ ექსპედიციიის მოწყობის გეგმა და თანამშრომლობა ქვის ხანის სპეციალისტებთან.

12 ივლისს შედგა ურთიერთანამშრომლობა ხელოვნებათმცოდნე კიტი მაჩაბელთან. მას ჩვენის მხრიდან მივაწოდეთ სხვავის ქვაჯვარას შესახებ ინფორმაცია და ფოტომასალა. ხელოვნებათმცოდნემ დიდი ინტერესი გამოხატა აღნიშნული რელიეფის შესახებ. მოგვაწოდა ლიტერატურა. დაისახა თანამშრომლობის შემდეგი გეგმები.

12-14 ივლისს მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომელს ქალბატონ ნინო ციციშვილს გაეწია დახმარება და მიეწოდა მასალები რაჭასთან დაკავშირებით. 23 ივლისს კურორტ შოვში გასამართ ღონისძიებასთან დაკავშირებით.

16 ივლისს მუზეუმს სტუმრობდა ხელნაწერთა კვლევის ცენტრის თანამშრომელი ნუგზარ პაპუაშვილი გერმანელ სტუდენტთან ერთად. დავათვალიერებინეთ მუზეუმი გავაცანით კოლექციები.

20 ივლისს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომელს ნინო დვალს მიეწოდა მუზეუმის შესახებ ინფორმაცია და ფოტო მასალები.

20 ივლისს ახალი მუზეუმის შენობა დაათვალიერეს რეგიონალური განვითარებისა და ინტრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ მოადგილეებთან და უწყებების თანამშომლებთან, მხარის რწმუნებულთან, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პირველ პირებთან ერთად.

26 ივლისს მუზეუმს სტუმრობდნენ ხელოვნებათმცოდნეების ჯგუფი ხელოვნებათმცოდნე ეკატერინე გედევანიშვილის ხელმძღვანელობით, მკვლევარებმა გამოხატეს დიდი ინტერესი ჩვენს მუზეუმში დაცულ რაჭის სხავდასხვა ეკლესიებიდან ჩამოტანილ შუა საუკუნეების ქვის რელიეფებისადმი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სოფ. ჯოისუბმის წმ. გიორგის ეკლესიის სარკმლის რელიეფს, გადაუღეს ფოტოები.

26 ივლისს ახალი მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში შედგა ახალი მუზეუმის მუზეუმგრაფიული ესკიზური პროექტის პრეზენტაცია. პროექტი წარადგინა ეროვნული მუზეუმის რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალისტმა, მუზეუმის სივრცითი მოწყობის მხატვარ-დიზაინერმა ფრიდონ ლობჯანიძემ. პრეზენტაციას ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის რწმუნებული ბატონი პაპუნა მარგველიძე თანამშრომელ ილია კენჭაძესთან ერთად. ონის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პირველი პირები და სამსახურების ხელმძღვანელები, მუზეუმის თანამშრომლები.

2 აგვისტოს თბილისის ახმეტელის თეატრის დირექტორმა, მსახიობმა გია ჯაფარიძემ მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა თავისი წინაპრის კონსტანტინე გიორგი (გოგისა) ძე ჯაფარიძის ნაქონი საუკუნოვანი ხალიჩა.

2 აგვისტო მუზეუმს სტუმრობდა მოქალაქე ტარიელ ჭიჭინაძე ოჯახთან ერთად რომლის ბებიასაც ნუცა კახიძე-არველაძეს დაუფიქსირებია პირველად1953 წელს სოფ. თხმორში გვიანი ბრინჯაო ადრე რკინის ხანის ბრინჯაოს განძის აღმოჩენის ფაქტი. აღნიშნული არქეოლოგიური მონაპოვარი ინახულა ბატონმა ტარიელმა ჩვენს მუზეუმში, საუბარში გამოიკვეთა სხვა ახალი რეალიები განძის აღმოჩენასთან დაკავშირებით. სურვილი გამოთქვა რომ მჭიდროდ ითანამშრომლოს ჩვენს მუზეუმთან. დაისახა სამომავლო გეგმები.

3 აგვისტო შედგა თანამშრომლობა ასოციაცია „სინემას“ აღმასრულებელ დირექტორ ბატონ ზვიად დოლიძესა და მუზეუმის წამყვან მეცნიერ თანამშრომელს გია ბერიშვილს შორის. ბატონი ზვიად დოლიძის იდეაა რომ ქალაქ ონში საყმაწვილო-საზაფხულო კინო სკოლის მოზარდებმა რომლებიც მიიღებენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას კინოს შესახებ ამავე ასოციაციის თანამშრომლებისაგან გადაიღონ ფილმი ცნობილ ქართველ პოეტზე მურმან ლებანიძეზე. მუზეუმის წამყვანმა მეცნიერ თანამშრომელმა გია ბერიშვილმა ბატონ ზვიადს მოუთხრო თუ სად და ვინ შეიძლება გადაიღონ და ჩაწერონ ფილმზე მუშაობის დროს.

5 აგვისტოს შედგა თანამშრომლობა ილია ჭავჭავაძის სახელობის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელ ქალბატონ დარეჯან თეთრაშვილთან მან ციფრულ ფორმატში

მოგვაწოდა სოფ. შქმერის განჯარეულის მღვიმესთან დაკავშირებული ორი საგაზეთო პუბლიკაცია. (დაუშვილი ბ, ფოფხაძე ზ, მიწისქვეშა ბუნებრივი გამოქვაბული შქმერში, გაზ. „სოციალისტური მშენებლობა“ (ონი), 18. XI. 1960, #138 (3028), გვ. 4, იხ აგრეთვე გაზ. კომუნისტი 8. XII. 1960, #283 (11894) გვ.4. დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

5 აგვისტოს მოეწყო ექსპედიცია სოფელ შქმერში, უშოლთაში მოვინახულეთ განჯარეულის მღვიმე, შევედით გასანათებელი საშუალებებით 300-400 მეტრის სიღრმეში, დავათვალიერეთ სხვადასხვა „დარბაზები“, ავკრიფეთ კერამისა და ძვლების ფრაგმენტები. განვაგრძეთ გზა ზემო შქმერში დავათვალიერეთ ქოლოსის წმ. გიორგის ეკლესია.

7 აგვისტოს მოეწყო ექსპედიცია შაორის წყალსაცავის მიდამოებში ქვის ხანის ადამიანის იარაღების დასაფიქსირებლად და სხვადასხვა ლოკაციების მონიშვნის მიზნით. სოფ. უყეშისა და ნიკორწმინდის მიდამოებში მართლაც დავაფიქსირეთ რამოდენიმე ადგილი, მოვნიშნეთ ჯიპიეს კორდინატები, მეგზურობა გაგვიწია ტყიბულში მცხოვრებმა დავით ჯიშიაშვილმა რომელმაც 4 წლის განმავლობაში შაორისა და ტყიბულის წყალსაცავის სანაპიროებზე და მიმდებარე ტერიტორიებზე შეუგროვებია ქვის ხანის ადამიანის სხვადასხვა დიდი რაოდენობის იარაღები. (ხელცულები, დანები, წვეტანები, სახოკები და სხვა) ვესტუმრეთ ბატონ დავითს ტყიბულში გვაჩვენა მის მიერ შეკრებილი მრავალრიცხოვანი ძალზედ შთამბეჭდავი არტეფაქტები. დაისახა თანამშრომლობის გეგმები.

9 აგვისტო მუზეუმს სტუმრობდა გალერისტი ლიკა ჭკუასელი დავათვალიერებიეთ ფონდები, კოლექციები. განსაკუთრებული ინტერესი გამოხატა მუზეუმში დაცული სახვითი ხელოვნების ნიმუშების მიმართ. დაისახა თანამშრომლობის გეგმები

13 აგვისტოს მუზეუმს სტუმრობდა ქველმოქმედი და ჩვენი სიძველეთსაცავის დიდი ქომაგი და გულშემატკივარი ბატონი ამირან გამყრელიძე, მან საჩუქრად გადმოგვცა ხელოვანის ეკატერინე ხუნწარიას ნამუშევარი ნატურმორტი, ბატიკა და კომპიუტერი. დაათვალიერა ახალი მუზეუმის ნაგებობა, დაისახა თანამშრომლობის გეგმები.

16 აგვისტოს რაჭა-ლეჩხუმ, ქვემო სვანეთის რწმუნებულის პირველ მოადგილეს ქრისტინე კობახიძეს მიეწოდა მასალები ონის მუნიციპალიტეტში არსებულ უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე ძეგლებთან დაკავშირებით.

19 აგვისტოს მოეწყო ექსპედიცია სოფ. მრავალძალში მოვახდინეთ მონიტორინგი წმ გიორგის ეკლესიის მიდამოებში გაჭრილ საფლავის ქვაბულზე. გავესაუბრეთ არაოფიციალურ ძეგლის მცველს ბათლომე სხირტლაძეს, მოხდა ძეგლის რელიეფების ფოტოფიქსაცია.

20 აგვისტოს გარემოს დაცვის მაშტაბური ღონისძიებების ფარგლებში ონის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და სხვადასხვა უწყებების თანამშრომლებმა მოაწყვეს აქცია მრავალძალის გზის მიამართულებით, გაიწმინდა ეკალ-ბარდისაგან გზის ნაპირები, ქვემო ბარში ჩვენს მიერ დაფიქსირებულ იქნა წკბერის ქვები. ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული მუზეუმის კოლექტივი.

23 აგვისტოსმუზეუმს სტუმრობდა მხატვარი ირა რაზმაძე მან მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა მის მიერ 2008 წელს შესრულებული ნახატი „ბალერინა ირა ჯანდიერის პორტრეტი“.

25 აგვისტოს შედგა თანამშრომლობა ხელოვნებათმცოდნე, მხატვარ მაია წერეთელსა და ონის მუზეუმის თანამშროლმებს შორის. ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში მაია წერეთელმა მუზეუმში მოიყვანა სოფელ ლაგვანთიდან როგორც აგდილობრივი ასევე სტუმრად ჩამოსული სხვადასხვა ასაკის 15- მდე ბავშვი, მოზარდებს დავათვალიერებინეთ მუზეუმის საექსპოზიციო სივრცეები, ფონდები, ბავშვებს ვესაუბრეთ რაჭისა და სოფელ ლაგვანთის წარსულზე, სოფლის გამოჩენილ ადამიანებზე. გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოები.

26 აგვისტოს გაეწია კონსულტაციები და დახმარება არქიტექტორ დეა ხიზანიშვილს მთის რაჭის არქიტექტურასთან დაკავშირებით, რომელსაც სურს ავთენტური სახით აღადგინოს, რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტაროს სოფელ ღებში „ციხიკარში“ მისსავე საკუთრებაში არსებულ დანგრეულ ძალზედ საინტერესო საცხოვრებელ ნაგებობას.

28 აგვისტოს მოეწყო ექსპედიცია შაორის მომდებარე ტერიტორიაზე, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ქვის ხანის ადამიანის იარაღების მოძიება, დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა სოფ. უყეშთან წყალსაცავის მიმდებარე ადგილებში და მთავარი პლიაჟის სანაპიროებზე. ჩვენს მიერ მოძიებულ იქნა ათეულობით სხვადასხვა სახის ქვის იარაღები. იგეგმება სპეციალისტებთან კონსულტაციები მოპოვებული არტეფაქტების იდენტიფიცირებისა და ქრონოლოგიის განსაზღვრის მიზნით.

29 აგვისტოს მონიტორინგის მიზნით მოვინახულეთ უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე სოფელ შეუბნის სინაწმინდის წმ, გიორგის ეკლესია. გადაღებულ იქნა ფოტოსურათები, დავაფიქსირეთ ძეგლის დაზიანების მასშტაბები, მიდამოები. ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია. სამომავლოდ იგეგმება აღდგენითი სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების დაწყება.

31 აგვისტოს მუზეუმმა უმასპინძლა ფოლკლორულ ბავშვთა ანსამბლ „ამერ-იმერის“ კოლექტივს ეთნომუსიკოლოგ ნანა ვალიშვილთან ერთად. დავათვალიერებინეთ მუზეუმის ფონდებიები, კოლექციები. დამშვიდობებისას ანსამბლმა შეგვისრულა როგორც რაჭული ასევე სხვადასხვა კუთხის სიმღერები

2 სექტემბერს მოქალაქე შურა ჯაფარიძემ მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა მისი მეუღლის შუქურა ჯაფარიძისადმი მიძღვნილი წიგნი.

3 სექტემბერს მუზეუმმა ადგილობრივი სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელის ბატონი ემზარ ხომასურიძის თხოვნით უმასპინძლა თბილისის სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფს. საპატიო სტუმრებს დავათვალიერებინეთ მუზეუმი, გავაცანით მუზეუმის ფონდები და კოლექციები.

7 სექტემბერს მუზეუმის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების 30 წლიანი პარტნიორობის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაში. აღნიშნული ღონისძიების დასკვნითი ნაწილი გაიმართა ჭრებალოს ღვინის ქარხანაში ამერიკის საელჩოსა და პირადად ელჩის კელი დეგნანის ორგანიზებით.

8 სექტემბერს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის „ექსპერიმენტული პლენერის ფარგლებში“ მოხდა ჩვენს მუზეუმში დაცული ხელოვნებათმცოდნის, მხატვრის, მკვლევარის ბენო გორდეზიანის ფერწერული ტილოს „ცხრაწყარო“-ს მოტივებზე შექმნილი ჩანთების დამზადება. ჩანთები მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა ღონისზიების ხელმძღვანელმა ხელოვნებათმცოდნე თეონა ჯაფარიძემ.

9 სექტემბერს ონელობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით მუზეუმის კოლექტივი უფასოდ მოემსახურა დამთვალიერებლებს.

15 სექტემბერს შედგა თანამშრომლობა აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორ ქალბატონ ნანა კუპრაშვილთან, მათ უსასყიდლოდ მოახდინეს ჩვენს მუზეუმში დაცული ცნობილი მხატვრის ელენე ახვლედიანის ძალზედ დაზიანებული ფერწერული ტილოს აღდგენა-რესტავრაცია და ტრანსპორტირება.

18 სექტემბერს ეროვნული გვარდიის ინიციატივით მუზეუმში გაიმართა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სწავლება. თრენინგის პროცესში მონაწილეობდნენ თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. ააიპ ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წარმომადგენლები.
ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებმა მუზეუმს საჩუქრად გადმოსცეს საევაკუაციო ხის 10 ერთეული ხის ყუთი.

19 სექტემბერს მოქალაქე შურა ჯაფარიძემ მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა წიგნები: 1)ზემოური, გია ჯაფარიძე, 2021წ. 2) ზურაბ ქაფიანიძე, თეიმურაზ მიბჩუანი, შუმერებია ქართული ასომთავრული.

20 სექტემბერს მურმან ლებანიძის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით მუზეუმის თანამშრომლები და ვოლონტერები ვეწვიეთ არქეოლოგიურ ძეგლ ბრილს, სადაც 1962 წლის აგვისტოში გერმანე გობეჯიშვილის რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის დროს იმყოფებოდნენ მურმან ლებანიძე და ოტია იოსელიანი. მოვინახულეთ იმ სახლის ნაშთები სადაც სამმა ბუმბერაზმა ადამიანმა რამოდენიმე კვირა დაჰყო. ვისაუბრეთ მურმან ლებანიძისა და გერმანე გობეჯიშვილის განუყრელი მეგობრობის შესახებ. ადგილობრივმა პოეტმა ვეფხვია გავაშელმა და სოფ. ღების საჯარო სკოლის წარჩინებულმა მოსწავლემ ბერდია ალხიძემ წაიკითხეს პოეტის ლექსები: ბრილის ყვავილები და გერმანესადმი მიძღვნილი სხვ ლექსები. ბრილის მდელოებიდან წამოღებული ყვავილებით შევამკეთ მურმან ლებანიძის ძეგლი ონში, ნიშნად დიდი პატივისცემისა.

27 სექტემბერს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთში განხორციელებული ექსპედიციის დრო წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევის მიმდებარედ, სასაფლაოს ტერიტორიაზე, მუზეუმის თანამშრომლებმა შემთხვევით მივაკვლიეთ ამავე ეკლესიის მე-10 საუკუნის ქვის კანკელის ფილის კიდევ ერთ ფრაგმენტს, რის შემდგომაც, არტეფაქტი ჩვენს მუზეუმში გადავიტანეთ, რომლის ჩუქურთმა ზუსტად მიესადაგა და მუზეუმში დაცული ანალოგიური ექსპონატის ორნამენტული კომპოზიციის გაგრძელებას წარმოადგენს. აღნიშნული ნიმუშის გამოვლენამ უფრო მეტად გაამდიდრა დასახელებული პერიოდის ქართული ქვაზე კვეთის ხელოვნების, კერძოდ, რაჭის (პიპილეთი, ირი, ჩორდი) და ქართლის (ფოთოლეთი, ხაშური, მცხეთა) მსგავსი მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით გამორჩეული, პირველხარისხოვანი კანკელების სპექტრი.

27 სექტემბერს ექსპონატების შეძენის მიზნით მოეწყო ექსპედიცია სოფელ პიპილეთში, მოქალაქე ელეონორა ლობჯანიძისაგან შევისყიდეთ 10 ეთნოგრაფიული ექსპონატი (გიდელი სისო ხერხი, ხაფანგი, ეჩო, თითისტარი, ნახშირის უთო, სატეხი, ასტამი, შალაშინი, ბურღი).

3 ოქტომბერს შედგა თანამშრომლობა და გაეწია კონსულტაციები კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა კვლევის ცენტრის მეცნიერ თანამშრომელს ნიკოლოზ ჟღენტს რომელიც მონოგრაფიულად იკვლევს ლეკნარის მთის წმიდა გიორგის მონასტრის სიძველეებს და მის ისტორიას. რაჭის ამ გამორჩეული მონასტრის შესახებ მეცნიერი ამზადებს წიგნს გამოსაცემად.

4 ოქტომბეს მუზეუმმა უმასპინძლა მუნიციპალიტეტში ვიზიტით მყოფ პოლონეთის რესპუბლიკის ქ. ჟგოვის მერს გჟეგოჟ მატუშაკს და მასთან მყოფ დელაგაციას.

7 ოქტომბერს გაეწია კონსულტაციები და მიეწოდა ფოტომასალები ჩვენს მუზეუმში დაცულ გვიანი ანტიკური ხანის ბრინჯაოს ჭვირულ გამოსახულებიანი ბალთების შესახებ, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს ლიკა თაგვაძეს სადიპლომო ნამუშევრის მომზადების მიზნით.

7 ოქტომბერს მონიტორინგის მიხნით მოეწყო ექსპედიცია სოფელ გლოლაში დაფიქსირებულ იქნა ძველი გლოლის არქიტექტურული ნაგებობები: წმ. გიორგის ეგრეთ წოდებული „ბერის საყდარი“, მიქელ მთავარანგელოზის ელესიის ნანაგრევები, ძველი სახლები , სამეურნეო ნაგებობები .

8 ოქტომბერს მიეწოდა ფოტო მასალები მუზეუმის ახალი შენობისა ხელოვნებათმცოდნე თეონა ჯაფარიძეს, რომელიც ამზადებს სტატიას საქართველოს რეგიონებში ბოლო წლებში აშენებული მუზეუმების შესახებ.

9 ოქტომბერს მუზეუმმა შეისყიდა ეთნოგრაფიული ექსპონატები (სპილენძის არყის სახდელი ქვაბი, სპილენძის ტაშტი, აკვანი) ონში მცხოვრებ აველი (ბეჟან) გუგეშაშვილისაგან.

9 ოქტომბერს მუზეუმში სოფ. სომიწოდან სიმონ იაშვილის ოჯახიდან ჩამოვიტანეთ ეთნოგრაფიული ექსპონატები: ხის ნიჩაბი, შამფური, ლამპა, ჭობოსანი, აღნიშნული ნიმუშები მუზეუმს საჩიქრად გადმოსცა ასკალონ და ამირან სიმონისძე იაშვილებმა.

13 ოქტომბერს მოეწყო ექსპედიცია სოფლებში ირში და პიპილეთში . ირში სასაფლაოს ტერიტორიაზე ძელი ჭეშმარიტის ეკლესიის ნანგრევებზე აგებულ სამლოცველოში დაცულ მე - X საუკუნის რელიეფურ ფილაზე ვაწარმოვეთ დაკვირვება, ფილაზე აყვავებული ჯვრის კომპოზიციის მკლავების გადაკვეთის ქვედა ორივე მხარეს თავისუფალ არეზე დაფიქსირებულ იქნა ნუსხა-ხუცური თანადროული წარწერა. მოხდა ლაპიდარული წარწერის პირის გადმოტანა სპეციალური საშუალებებით. ნუსხური ქარაგმული წარწერა ამგვარად იკითხება: ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ეფრე(მ)ი. გადაღებულ იქნა მაღალი გარჩევადობის ფოტო სურათები.
მონიტორინგის მიზნით მოვინახულეთ სოფელ პიპილეთის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია.

11 ოქტომბერს მონიტორინგის მიხნით მოეწყო ექსპედიცია სოფ. ჯინჭვისში. ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულ იქნა ერთი ძალზედ საინტერესო საფლავის ქვა და მასზე აღბეჭდილი მხატვრული სახე გადაღებულ იქნა ფოტო სურათები.

12 ოქტომბერს მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდნენ ქუთაისელ მხატვართა ჯგუფი. დავათვალიერებინეთ მუზეუმი გავაცანით კოლექციები. მხატვრებმა დიდი ყურადღება გაამახვილეს ჩვენს მუზეუმში დაცულ სხვადასხვა მხატვრების სახვითი ხელოვნების ნიმუშებზე, მათ თან ახლდა და მეგზურუბას უწევდა სიძველეთმცოდნე, ექსპერტი, კოლექციონერი და ჩვენი კოლეგა ბატონი რამაზ ობოლაძემ.

18 ოქტომბერს მუზეუმის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ-ის „შეემოქმედებითი საქართველოს“ მიერ განხორციელებულ პროექტში „ბავშვის მიერ წიგნზე წვდომის მხარდაჭერა“. მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

18 ოქტომბერს მუზეუმში ვიზიტით იმყოფებოდნენ სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები პედაგოგებთან ერთად. ჩაუტარდათ ექსკურსია ბავშვები გაეცვნენ ჩვენი მუზეუმის ექსპოზიციებს, ფონდებს, სკოლასთან დაიგეგმა თანამშრომლობის სამომავლო გეგმა.

20 ოქტომბერს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა სერგო ლობჯანიძემ სოფელ ღებში მცხოვრები ზვიად ლობჯანიძისაგან შეიძინა და მუზეუმს შემოსწირა გვიანი ბრინჯაო ადრე რკინის ხანის ძვ. წ.ა. VIII-VII საუკუნეების ბრინჯაოს სატევარი. თავის მხრივ ბრინჯაოს სატევარი ზვიად ლობჯანიძეს შემთხვევით უპოვნია თევრეშოში „ქრისტე მეუფის“ მაცხოვრის ნაეკლესიარის მიდამოებში. შედგა სათანადო მიღება-ჩაბარების აქტი. მუზეუმის ადმინაისტრაციამ შემომწირველს მადლიერების ნიშნად გადასცა წიგნები.

23 ოქტომბერს მუზეუმის მოხალისე დავით დგვარელმა მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა ეთნოგრაფიული ნიმუშები ორი შამფური და მორის გამოსათრევი ჩანგალი.

26 ოქტომბერს გაეწია დახმარება და კონსულტაციები მერაბ ბერიშვილს სორის ეკლესიის სიძველეებისა და სიწმინდეების შესახებ.

30 ოქტომბერს მოეწყო ექსპედიცია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თლუღში. მეგზურობა გაგვიწია ისტოორიის ყოფილმა მასწავლებელმა ბატონმა მალხახ გურაბანიძემ. შაორის წყალსაცავის მიმდებარეთ მოვინახულეთ სალხინოს წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, ამ ძეგლიდან ცნობილია გადარჩენილი მე-10 საუკუნის კანკელის ფრაგმენტების საუცხოო რელიეფური ნიმუშები, რომლებიც გაბნეულად დაცულია ონის, ამბროლაურის მუზეუმებსა და ნიკორწმინდის ეკლესიაში. თვალწარმტაც გარემოში ტრიალ მინდორში ერთ დროს სახელგანთქმული ეკლესის ნანგრევების კვალი დღესაც თვალნათლივ იკითხება. გზად იქვე მოვკრიბეთ პირველყოფილი ადამიანის კაჟისაგან დამზადებული რამოდენიმე იარაღი, ვიზუალურად დავათვალიერეთ ბუნების საოცრება კიდობანას მღვიმე, ადგილი ოლანი და იქვე შემაღლებულ თვალსაჩინო ადგილზე მდებარე ეკლესიის ნანგრევები.

1 ნოემბერს მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდა ებრაული მემკვიდრეობის გაერთიანების წევრს პროფესორი რაიჰან დიტრიხი თარჯიმან ქართლოს მანველიძესთან ერთად, გაეწიათ დახმარება და მიეწოდათ მასალები ონში მცხოვრებ ებრაულ თემთან დაკავშირებით, დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

1 ნოემბერს გაეწია დახმარება და მიეწოდათ მასალები სიმონ სხირტლაძის სახელობის ონის საჯარო სკოლის მოსწავლეებს. ონის სკოლის ისტორიასთან დაკავშირებით.

8 ნოემბერს გაეწია კონსულტაციები და მიეწოდა მასალები ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელს ნინო მეტრეველს ონის ებრაულ თემთან დაკავშირებით.

8 ნოემბერს ღებში მცხოვრებმა გივი გობეჯიშვილმა მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა ერთი წყვილი ქალამანი.

9 ნოემბერს თბობის სეზონთან დაკავშირებით მუზეუმის ადმინისტრაციამ ორგანიზება გაუწია და ინდ. მეწარმისაგან შეიძიბა, დახერხა, დაჩეხა დააბინავა 7 ^{3} შეშა.

12 ნოემბერს მოეწყო ექსპედიცია სოფელ ქვემო ბარში ღოთვაძეების უბანში, სადაც ჩვენს მიერ თვეების წინ ერთ-ერთ მიტოვებულ კარ-მიდამოში დაფიქსირებულ იქნა მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წ(კ)ბერის სხვადსხვა მასიური დიდი ქვის დეტალები, ორი მრგვალი ფორმის „ძივი“ და ტაბაკი. მეპატრონე დავით ჯაფარიძემ აღნიშნული ეთნოლოგიური ნიმუშები უსასყიდლოდ გადმოსცა მუზეუმს. ექსპონატების ჩამოტანა - ტრანსპორტირებაში დახმარება აღმოგვიჩინა სპეციალური ტექნიკით რევაზ რაზმაძემ.

12 ნოემბერს მოეწყო ექსპედიცია სოფ. მუხლში და სოფ. ბარში. მუხლში ახალი სასაფლაოს მიმდებარეთ ჩვენს მიერ მონიტორინგის მიზნით მონახულებულ იქნა წმიდა დიდმოწამე მარინეს მშენებარე ეკლესია, რომლის საპირე საფასადე ქვებად იყენებენ დანგრეული მუხლის წმ. გიორგის ეკლესის შირიმის ქვებს. ქვების გროვებში შევნიშნეთ საყურადღებო სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები და XVIII-XIX სს. მხედრულ წარწერიანი ფილა რომლის მეორე ნაწილი დაკარგულია. სოფელ ბარში კი ღოთვაძეების უბანში დავაფიქსირეთ 1904 წელს აგებული წყარო.

14 ნოემბერს ცნობილი დიდი ქართველი პოეტის მურმან ლებანიძის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით. მუზეუმის თანამშრომლებმა ყვავილებით შევამკეთ მისი ძეგლი. მუზეუმში გია ბერიშვილმა წაიკთხა მოგონება მურმან ლებანიძეზე.

18 ნოემბერს მუზეუმის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საგარეო სამინისტროს სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირი“ -ს შესახებ მოწყობილ ღონისძიებაში.

22 ნოემბერს ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად მკვლევარმა ლევან მიზანდარმა გამოაქვეყნა სტატია ჟურნალ „კულტურა პლიუსში“ 3(29) 2022 წ. მხატვარ კონსტანტინე გრძელიშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებით. ჩვენის მხრივ ლევან მიზანდარს მივაწოდეთ მაღალი გარჩევადობის ციფრული ფოტო მასალები და ტექნიკური აღწერილობა ჩვენს მუზეუმში დაცულ მხატვრის კონსტანტინე გრძელიშვილის ორ ფერწერულ ნამუშევართან დაკავშირებით.

22 ნოემბერს მკვლევარ გიორგი აბაშიძეს მიეწოდა ტექსტური და ფოტო მასალები ცნობილი ფალავანისა და ძალოსანის კოსტა მაისურაძესთან დაკავშირებით.

ონელ ებრაელთა მონდომებითა და ძალისხმევით მოხდა ბააზოვის ქუჩაზე არსებული ებრაელთა სასაფლაოს გაწმენდა ბუჩქარისაგან და ეკალ-ბარდებისაგან. გაწმენდის შედეგად

გამოჩნდა ბევრი ძველი წარწერებით შემკული და მხატრულად დამუშავებული საფლავის ქვები, ძალედ საინტერესოთ მივიჩნიეთ გასული საუკუნის 50-70 იან წლებში გაკეთებული საფლავის ქვის ძეგლები. 22 ნოემბერს ჩვენის მხრიდან მოვახდინეთ აღნიშნული სიძველეების ფოტო ფიქსაცია.

25 ნოემბერს ჟურნალისტ მანანა გაბრიჩიძეს მიეწოდა მასალები სოფელ ღებში არსებულ დუროიან სახლთან დაკავშირებით.

25 ნოემბერს მუზეუმში ვიზიტით იმყოფებოდა ბულგარეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვესელინ ვალკანოვი მოადგილე ილია ნაჩევი, ონის მუნიციპალიტეტის მერთან ბატონ სერგო ხიდეშელთან და მოადგილე ლევან შერაზადიშვილთან ერთად. საპატიო სტუმარს დავათვალიერებინეთ მუზეუმი გავაცანით ფონდები და კოლექციები. სტუმარმა დაათვალიერა ასევე მუზეუმის ახალი შენობა.

27 ნოენბერს საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის თანამშრომელმა დავით ხვადაგიანმა მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა წიგნები: 1) ვალიკო ჯუღელი, მძიმე ჯვარი, 2022 წ, 2) ქართულ გერმანული კულტურის მოზაიკა 1918-1921 წლებში, 2021წ, 3) მამის წერილები, 2022წ, 4 ინიციატივა ცვლილებებისათვის, წიგნი მესამე, 2021, წიგნი მეოთხე 2022წ. დაისახა თანამშრომრომლობის გეგმები.

1 დეკემბერს მიეწოდა ფოტო მასალები ეროვნული მუზეუმის თანამშრომელს ნინო ტაბუცაძეს ჩვენს მუზეუმში დაცულ რელიეფებზე, მუზეოგრაფიულ პროექტზე მუშაობის პროცესში გარკვეული კორექტირებისა და სიცხადის მიზნით.

2 დეკემბერს მუზეუმის სივრცეში ონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეებისათვის ნაჩვენები იქნა გასული საუკუნის 20-იან წლებში რეჟისორ ნუცა ღოღობერიძის მიერ მთის რაჭაში გადაღებული უნიკალური ფილმი „ბუბა“.

7 დეკემბერს მუზეუმს სტუმრობდნენ სოფელ შეუბნის საჯარო სკოლის მოსწავლეები, მოსწავლეებს ვაჩვენეთ რამოდენიმე ათეული წლის წინ გაკეთებული ლაჩთის ციხის ნახაზები და გალერეაში ექსპონირებული მხატვარ შოთა გოშაძის პეიზაჟი სადაც ლაჩთის ციხეა ასახული.

9 დეკემბერს ონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეებისათვის მუზეუმის სივრცეში ნაჩვები იქნა 1912 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმი აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

9 დეკემბერს მუზეუმმა უმასპინძლა სოფელ ჭიორის პედაგოგიურ კოლექტივს და მოსწავლეებს. დავათვალიერებინეთ მუზეუმის ფონდები, კოლექციები. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ სოფელ ჭიორიდან შემოსულ ექსპონატებთან დაკავშირებით და ვესაუბრეთ მათ შესახებ.

14 დეკემბერს **ABK COMUNICATION** - ის მენეჯერს სალომე მეტრეველს მიეწოდა ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატების მაღალი გარჩევადობის ფოტოები.

15 დეკემბერს მუზეუმს სტუმრობდნენ საქართველოს მეცნიერების, განათლების სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველოს უფროსი თამარ თოლორაია და ამავე სამმართველოს უფროსი სპეციალისტი მარიამ ჩიბუხაშვილი, საპატიო სტუმრებს დავათვალიერებინეთ

მუზეუმის ფონდები და კოლექციები, ყურადღება გაამახვილეს ჩვენი მუზეუმის სახვითი ხელოვნების ნიმუშებზე და სხვადასხვა ქართველი მხატვრების შემოქმედებაზე.

15 დეკემბერს ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელს ნინო მეტრეველს მიეწოდა ტექსტური მასალები მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლის ბრილის შესახებ.

16 დეკემბერს ახალი მუზეუმისათვის მუზეოგრაფიულ პროექტზე მუშაობისათვის ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს მიეწოდათ ფოტომასალები.

28 დეკემბერს ნინო გუგეშაშვილს მიეწოდა ტექსტური და ფოტო მასალები ონში მცხოვრებ ებრაულ თემთან დაკავშირებით.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ითანამშრომლა, როგორც ჩვენი ქვეყნის ასევე უცხოელ მეცნიერებთან, მკვლევარებთან, სტუდენტებთან, საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, ვოლონტერებთან.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო ჩვენი კუთხის ისტორიის, ხუროთმოძღვრული ძეგლების, არქეოლოგიური აღმოჩენების, სხვადასხვა ფილმების, ფოლკლორული ვიდეო და აუდიო მასალებისა და სპეციალურად შექმნილი სიუჟეტების ჩვენება ვიზიტორებისათვის.

მუზეუმმა უმასპინძლა როგორც ადგილობრივ ასევე უცხოელ 1500 ვიზიტორს.

მუზეუმს აქვს რიგი პრობლემები, რომელთა მოგვარება ბევრად გააუმჯობესებს მუზეუმის მუშაობას.

მუზეუმი განთავსებულია ძველ ამორტიზირებულ შენობაში. ვერ ხერხდება თანამედროვე სამუზეუმო პირობების შექმნა. არ არის დაცული კლიმატ კონტროლი, განათება, ტემპერატურული და ბიოლოგიური რეჟიმი და ა.შ.

უსაფრთხოების განხრით შენობა დაუცველა, მუზეუმს იცავს რიგითი ორი დარაჯი.

მუზეუმს არ ჰყავს საკუთარი ავტომობილი სასურველია იყოს მაღალი გამავლობის, რის გამოც ვერ ვახერხებთ ხშირად ოპერატიულად გადაადგილებას.

მუზეუმის თანამშრომლები დაბალი ხელფასის გამო სოციალური თვალსაზრისით ნაკლებად დაცულები არიან,

მუზეუმის დირექტორი: */ამირან კერესელიძე/*